

მართლმსაჯულება ^N 1 '12
კანონი

Justice and Law Legal Journal
#1(32)'12

შეტანაუნარიანი ოპიქტების ბანსაზღვრის კოზიტუური და ნებატიური შინაარსი

გიორგი მახაროზლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი,
საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტის
წევრი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი)

შესავალი

საკორპორაციო სამართალში საზოგადოებათა, უპირატესად კი, კაპიტალური ტიპის გაერთიანებათა დაფუძნება ორ განსხვავებულ, მაგრამ თანმხვედრი გარემოების არსებობას მოითხოვს. პირველი, ეს არის სამენარმეო საქმიანობის განხორციელება კაპიტალური ტიპის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და მეორე, დამფუძნებელ პირთა მიერ ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად „გონივრული“ კაპიტალის გაერთიანება. ეკონომიკური არეალის ზემოქმედების ქმედითი ფუნქციური დატვირთვა სწორად ჩამოყალიბებული საზოგადოების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგების ანალიზით დგინდება. შედეგად, აუცილებელია კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნების სავალდებულო კრიტერიუმის შედარებით ჭრილში ანალიზი. ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, მიმოხილვის ფარგლებში მხოლოდ მეორე კრიტერიუმი – კაპიტალის ფორმირება თავსდება.

ქართველი კანონმდებლის ბოლოდროინდელი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ორიენტაცია დასავლეთისკენ არის მიმართული. ის, ძირითადად, ადაპტაციას განიცდის აშშ-ის სამართლებრივი სისტემის მოდიფიცირებულ მიდგომასთან. თუმცა, შეუძლებელი იქნებოდა ანგლო-ამერიკულ სისტემაზე

გასვლა კონტინენტური სამართლის სისტემის გვერდის ავლით. ეს უკანასკნელი კი, პირდაპირ არის დაკავშირებული ევროპის კავშირის საბჭოსა და პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებებსა და დირექტივებთან. აღნიშნული კავშირის ლოგიკური განვითარება მათ¹ ზეგველენაში გამოისახება, რომელსაც განიცდის ან/და შესაძლოა განიცადოს ქართულმა სამართალმა, კერძოდ, საკორპორაციო სამართალმა. აქედან გამომდინარეობს ნაშრომის მიზანიც: შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენების საფუძველზე განვიხილოთ და გაანალიზებულ იქნეს კაპიტალური ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბების ეტაპზე შეტანაუნარიანი ობიექტების რაობა, რომელიც კლასიფიკაციის კუთხით, პოზიტიურ და ნეგატიურ სახეობად კონკრეტდება. მათი დაყოფა სახეობებად და ამ კლასებში გაერთიანებულ ობიექტთა ანალიზი საკანონმდებლო რეგულირების დახვეწილობასა თუ გამართულობას, კაპიტალური საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირებისა და კრედიტორთა დაცვის ღირებულ სამართლებრივ-ეკონომიკურ კრიტერიუმად გამოდგება. აღნიშნული ნათელ სურათს შექმნის ევროპის კავშირის ფარგლებში მოქმედი საკანონმდებლო არეალის ქართულ სამართლებრივ გარემოზე გავლენის გავრცელების სფეროს შესახებ.

1. საბაძეო საზოგადოების სანესადებო კაპიტალის შექმნა – შენატანი და მისი განსაზღვრის სახეები

1. საზოგადოების სანესადებო კაპიტალის ფორმირება

საზოგადოების ჩამოყალიბება დამფუძნებელი პირებისაგან რამდენიმე მნიშვნელოვან ქმედებას მოითხოვს. პარტნიორთა შორის არსებულ შეთანხმებასთან ერთად, რომელიც საზოგადოების კონსტიტუციაში, ნესდებაში წერილობით ასახვას ჰპოვებს, პარტნიორები თანხმდებიან სამენარმეო საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო გასაერთიანებელი კაპიტალის ოდენობასა და მასში თითოეული მათგანის მონაწილეობის პროპორციულობაზე. 2008 წლის 14 მარტის ცვლილებამდე,² საქართველოს „მენარმეთა შესახებ“ კანონი³ კაპიტალური საზოგადოებისათვის საკანონმდებლო დონეზე ადგენდა მინიმალური სანესადებო კაპიტალის არსებობის მოთხოვნას. 2008 წლის ცვლილებების შემდეგ, „თვითრეგულირებად“ ნესებზე⁴ გადასვლამ განაპირობა ნესდების კერძო ავტონომიის გაზრდა. დამფუძნებლებს საშუალება მიეცათ თავიანთი სურვილის მიხედვით განესაზღვრათ სანესადებო კაპიტალის ოდენობა,⁵ მაგრამ ეს არ ნიშნავს კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნების წინაპირობათა დარღვევას. ასეთი საზოგადოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გარკვეული კაპიტალის არსებობა. მიუხედავად იმისა, კანონმდებელი რამდენად ნებაყოფლობით ხდის მის სავალდებულოებას, ცხადია, რომ თუ დამფუძნებლები მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევით შემოიფარგლებიან, მათი სამენარმეო საქმიანობის რენტაბელურობა თავიდანვე წარუმატებლობისათვის იქნება განწირული.⁶ განსხვავებით ქართული საკორპორაციო სამართლისაგან, ინდიფერენტული მიდგომა აქვს ევროპის კავშირის საბჭოს მეორე დირექტივას, სადაც განსაზღვრულია კანონისმიერი სავალდებულო მინიმალური სანესადებო კაპიტალის ოდენობა, რომელიც არ უნდა იყოს 25 000 ევროზე ნაკლები.⁷ დირექტივის თავდაპირველ ვარიანტში ეს ოდენობა დადგენილი იყო როგორც სავალდებულო და არა როგორც უმცირესი სიდიდე, მაგრამ გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, დასაშვები იყო სანესადებო კაპიტალის უფრო მაღალი ოდენობის შემოღება.

საბოლოო რედაქცია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს მსგავსი დანაწესით აღარ ზღუდავს,⁸ რაც ლიბერალიზაციის ელემენტის შემოღებისაკენ მიუთითებს. კაპიტალის განცალკევების გამო, სააქციო საზოგადოება კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სრული უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით გამოირჩევა, რომელიც პასუხისმგებლობის კონტექსტში ნათლად ვლინდება.⁹ ზოგიერთი ავტორის აზრით, მინიმალური სანესდებო კაპიტალის არსებობა კორპორაციის სამენარმეო საქმიანობიდან გამომდინარე, საფრთხეების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის უზრუნველყოფის გარანტიად გამოდგება. ზოგადად, სამენარმეო საქმიანობიდან გამომდინარე, რისკი და რისკის შედეგები ბევრად აღემატება მინიმალურ კანონისმიერ სანესდებო კაპიტალს და ის კრედიტორთა დაცვის რეალური უზრუნველყოფის საშუალებად არ გამოდგება.¹⁰ თუმცა, კრედიტორთა დაცვის ფუნქციისაგან განსხვავებით, მას დანყებით-სავალდებულო ხასიათი აქვს,¹¹ რომელიც უფრო მნიშვნელოვნად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე კრედიტორთა წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის განსაზღვრულ „რეზერვად.“¹² მოკლედ, კაპიტალური ტიპის საზოგადოების ფორმირებისათვის აუცილებელი კრიტერიუმი კაპიტალის ფორმირება, რომელიც (ფართო გაგებით) მოიცავს პარტნიორთა შეთანხმებას შესატანთან დაკავშირებით და საზოგადოებისათვის საკუთრებაში გადაცემის გზით სანარმო-სათვის აუცილებელი სანესდებო კაპიტალის შექმნას.¹³ საზოგადოების დაფუძნება მხოლოდ შეთანხმებაში არ მდგომარეობს. ამისათვის აუცილებელია არა მარტო შეთანხმება გარკვეული სანესდებო კაპიტალის (თუ მინიმალური საკანონმდებლო მოთხოვნა არ არსებობს) თაობაზე, არამედ დათქმული შესატანების შეტანა. შესატანის შეტანას საზოგადოების მხრიდან აქციის გაცემა მოსდევს.¹⁴ მეორე დირექტივის მიხედვით, აქციითა სანაცვლოდ განხორციელებული შენატანი კი, ნომინალურ ღირებულებას უნდა შეესაბამებოდეს.¹⁵ საკვანძო საკითხი მდგომარეობს კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნებისთვის საჭირო (სასურველი) კაპიტალის შექმნის საშუალებასა და ფორმირების მეთოდში. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მეორე დირექტივა საქართველოს „მენარმეთა შესახებ“ კანონისაგან განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს. კერძოდ, ევროპის კავშირის საბჭოს მეორე დირექტივა კონკრეტულად განსაზღვრავს თუ რა შიძლება გამოყენებულ იქნეს კაპიტალური ტიპის – სააქციო საზოგადოების სანესდებო კაპიტალში შესატანად. დირექტივის მეშვიდე მუხლი განმარტავს, რომ სანესდებო კაპიტალის ფორმირება შესაძლებელია ისეთი ქონებით, რომლის ეკონომიკური ღირებულების დადგენა შესაძლებელია.¹⁶ მსგავსად ევროპელი კანონმდებლისა, „მენარმეთა შესახებ“ კანონიც პირდაპირ განსაზღვრავს ქონებრივი შესატანის დასაშვობას, რომელსაც მატერიალურ და არამატერიალურ ქონებად ჰყოფს.¹⁷ თუმცა, შეტანაუნარიანი ობიექტების კუთხით, მათ შორის არსებითი სხვაობაც ვლინდება. კერძოდ, დირექტივა პირდაპირ კრძალავს სამუშაოს შესრულებასა და მომსახურების განევას, როგორც სს-ის კაპიტალის ფორმირების საშუალებას.¹⁸ დირექტივისაგან განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს ქართული კანონმდებელი, რომელიც შესატანის სახეობად, ანუ კაპიტალის ფორმირების საშუალებად პირდაპირ უთითებს სამუშაოს შესრულებასა და მომსახურების განევას.¹⁹ სწორედ ეს უკანასკნელი საკითხია კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის ნეგატიური და პოზიტიური შინაარსის ურთიერთგამიჯვნის საფუძველი.

2. შეტანაუნარიანი ობიექტები

შესატანის შეტანა საზოგადოების კაპიტალის ფორმირების ძირითადი საშუალება და აქციონერის მთავარი ვალდებულებაა.²⁰ მისი შეტანა პარტნიორის კორპორაციულ-სამართლებრივ

მოვლედობად ითვლება და მისი წევრობის იმ განუყოფელ კრიტერიუმად მიიჩნევა, რომლის გარეშეც საზოგადოება ვერ დაფუძნდება.²¹ „მენარმეთა შესახებ“ კანონი შეტანაუნარიან ობიექტებად განსაზღვრავს ყველა მატერიალურ და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს,²² ასევე, მომსახურების განწესა და სამუშაოს შესრულებას. მათ შორის მოიაზრება როგორც ფულადი, ისე არაფულადი შესატანი, თუმცა, მათი დაკონკრეტება არ ხდება. ფულადი შესატანის დროს სერთულე არ წარმოიშობა, არც მისი განსაზღვრის და არც მისი შეტანის დროს განსხვავებით, არაფულადი შესატანებისაგან. არაფულადი შესატანის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური ღირებულების მქონე ის ობიექტები, რომელიც სამოქალაქოსამართლებრივი ბრუნვის ობიექტებს წარმოადგენს.²³ ზოგიერთ ქვეყანაში²⁴ აქციონერის მიერ შენატანის განხორციელება კორპორაციის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობად ითვლება და საზოგადოების წევრობის²⁵ მოპოვების საფუძვლადაც განიხილება.²⁶ შესატანის ოდენობა, ნილთა პროპორციულობა, პირობები, წესები და ვადები განისაზღვრება საზოგადოების წესდებაში. თუმცა, ქართული საკორპორაციო სამართალი არ აწესებს სავალდებულოდ შესატანის განხორციელებას, როგორც დაფუძნების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ამასთან, კანონმდებლობა იძლევა ფართო სანესდებო ავტონომიას შესატანის განხორციელების წესების პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებაში) განსაზღვრის შესაძლებლობის მინიჭების გზით.²⁷ მაგრამ არსებობს იმპერატიული დათქმა, რომელიც შესატანის შეტანის წესსა და პირობებს არ უკავშირდება. კერძოდ, როდესაც წესდებაში პარტნიორები თანხმდებიან გარკვეული მოცულობის შესატანზე, მის განაწილებაზე, რომელიც წევრობის სტატუსთან ერთად საზოგადოების დაფუძნების არსებით პირობად იქცევა, მათ შესაძლებლობა აქვთ წინასწარ განსაზღვრონ შენატანის სახეები. შენატანის სახეთა კლასობრივ-ობიექტური განსაზღვრა პარტნიორებს არ შეუძლიათ. ის, როგორც წესი, კანონმდებლის ექსკლუზიურ კომპეტენციითა ფარგლებში შედის და იმპერატიულ სახიათს ატარებს. სწორედ ამ კუთხით ვლინდება ერთ-ერთი განსხვავება ქართულ საკორპორაციო სამართალსა და მეორე დირექტივას შორის. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 14 მარტის ცვლილებამდე, „მენარმეთა შესახებ“ კანონი მკაფიოდ მიჯნავდა შესატანსა და შენატანს. 2008 წლის ცვლილების შემდეგ, მათ შორის საკანონმდებლო სხვაობის ამოკითხვა გართულებულია. მის განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მინიმალური სანესდებო კაპიტალის არსებობის გაუქმება, რომლის დროსაც არსებითი იყო შესატანის, ანუ წესდებაში შეთანხმებული რაოდენობისა და მოცულობის საზოგადოების საკუთრებაში გადაცემის მომენტამდე არსებული მდგომარეობისა და შენატანის, ანუ საზოგადოების საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი მდგომარეობა.²⁸ მათი გამიჯნვა ხელშემწყობ ფაქტორად ვლინდებოდა საზოგადოების პარტნიორთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებლობისას ვალდებულების დარღვევის და შესრულების მოთხოვნის მტკიცების დროს. მიუხედავად ამისა, შესატანის ცნება ქართული საკორპორაციო სამართლისათვის კვლავ აქტუალურია პირდაპირი დანაწესის არარსებობის პირობებშიც კი.²⁹ ამასთან, ცვლილება-დამატებათა ამ ვრცელ პაკეტში დაკონკრეტდა შესატანის სახეები. კერძოდ, შეტანაუნარიანი ობიექტების იმპერატიული ჩამონათვალი გაკეთდა „მენარმეთა შესახებ“ კანონის მესამე მუხლის მეხუთე პუნქტის მეორე წინადადებაში. აღნიშნული ცვლილება აშშ-ის სამართლის ტრანსფორმაციის მცდელობის შედეგია.³⁰ შესაბამისად, შეტანაუნარიან ობიექტებად განისაზღვრა მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება და მომსახურების განწესა, განსხვავებით მეორე დირექტივისაგან, რომელიც პირდაპირ კრძალავს სამუშაოს შესრულებასა და მომსახურების განწესას.³¹ ორივე შემთხვევას ლოგიკური არგუმენტაცია შეიძლება მოეძებნოს. პირველი, თუ სანარმოს კაპიტალის ფორმირებისას გათვალისწინებული იქნება კრედიტორთა დაცვის მექანიზმი და, როგორც წესი, სანესდებო კაპიტალი³² სამენარმეო საქმიანობის რისკის

არც თუ ისე მნიშვნელოვან „დაზღვევად“ არის მიჩნეული, მაშინ სასურველია, რომ შესატანის სახედ განისაზღვროს მაღალი ლიკვიდურობისა და ეკონომიკური ღირებულების მქონე ობიექტი, რომელიც საზოგადოების სახელით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას ადვილად რეალიზებადი იქნება. კრედიტორთა დაცვის მექანიზმის სამენარმეო საქმიანობის ფუნდამენტშივე გათვალისწინების გარდა, არსებობს მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ახალდაფუნქციონირებულ საზოგადოების თავდაპირველ კაპიტალში მდგომარეობს. როგორც წესი, საწყისი კაპიტალი დასაწყისშივე ხმარდება სამენარმეო საქმიანობის „პირველ ნაბიჯებს“ და სხვადასხვა ობიექტებისა თუ დანადგარების შექმნას.³³ ამ კუთხითაც სასურველია, მაღალი ლიკვიდურობის ობიექტის/ქონების ინვესტირება სანარმოო საქმიანობის დაწყების შეფერხების თავიდან ასაცილებლად.³⁴ რაც შეეხება მეორე შემთხვევას, რომელიც მომსახურების განევასა და სამუშაოს შესრულებაში მდგომარეობს, ასევე, შეიძლება მოეძებნოს როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური არგუმენტი. კერძოდ, მზარდი ეკონომიკური გარემო-პირობებისა და სამენარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე, სანარმოსათვის მომსახურების განვითარება და სამუშაოს შესრულების ნაკლები ლიკვიდურობის საფუძველი შეზღუდვა სათავე-შივე ენიშნაღდეგება ეკონომიკური საქმიანობისა და მისი განვითარების ხელშეწყობისკენ აღებული სამართლებრივი ლიბერალიზმის ტენდენციას. მაგრამ ევროპელი კანონმდებლისა და ქართული საკორპორაციო სამართლის სამართლებრივ მიდგომათა სხვაობის დანახვას მათი ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის საფეხურზე ყოფნა განაპირობებს. ეს კი, იურიდიული დოგმატიკის მსჯელობის ფარგლებს მიღმა რჩება, თუმცა, სამართლებრივი კუთხით შეტანაუნარიანი ობიექტების გამოჯენის პრინციპის ჩამოყალიბების მთავარ გარემოებას წარმოადგენს. მისი ამოსავალი დებულება სწორ მიდგომათა გონივრულ ტრანსფორმაციასა და ტრანსფორმირებული დანაწესის შესაბამისად, შესატანის სახეების ეკონომიკური ღირებულების დადგენის სიმარტივე-სირთულის (ლიკვიდურობის ხარისხის მაჩვენებლის) განსაზღვრაში მდგომარეობს. ეს უკანასკნელი სანარმოო კაპიტალში შენატანის სახით განსახორციელებელ ობიექტთა დასაშვებობის ეტაპის შემდგომ³⁵ მათი ღირფრენციაციის არსებით ელემენტს წარმოადგენს. ღირფრენციაცია კი, მდგომარეობს შეტანაუნარიანი ობიექტების ორ – ნეგატიურ და პოზიტიურ სახეობათა კატეგორიისადმი მიკუთვნებაში. შესაბამისად, იქმნება საფუძველი შესატანის სახეების რაობის ნეგატიური და პოზიტიური პრინციპის საფუძველზე სამენარმეო საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო გასაერთიანებელი (თავდაპირველი) ქონების არსის სწორად გასაგებად.

2.1. ფულადი შენატანი პოზიტიური პრინციპის „სამოსელში“

წინარე სადამფუძნებლო ეტაპის დროს პარტნიორთა შორის მიღწეული შეთანხმებით განსაზღვრული ეკონომიკური ღირებულების მქონე ობიექტიდან ყველაზე მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფულადი შენატანებია.³⁶ მისი განხორციელება ერთ ეტაპიანია და მოიცავს საზოგადოების ანგარიშზე გარკვეული რაოდენობის თანხის შეტანას.³⁷ ფულადი შენატანის დროს თანხა შეიძლება განსაზღვრულიყო ნებისმიერი ვალუტით, რომელიც უნდა აღრიცხულიყო ეროვნულ ვალუტაში.³⁸ 2008 წლის 14 მარტის ცვლილებებამდე, „მენარმეთა შესახებ“ კანონი პირდაპირ ითვალისწინებდა ფულადი შესატანის არსებობის შესაძლებლობას.³⁹ ცვლილებების შემდგომ განისაზღვრა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი შესატანის სახე. სწორედ მეორე მათგანში შეიძლება მოიაზრებოდეს ფულადი შესატანი.⁴⁰ მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, მეორე დირექტივაც ზოგად დანაწესს შეიცავს და პირდაპირ არ მიუთითებს ფულადი შესატანის

თაობაზე. თუმცა, დირექტივის მეშვიდე მუხლში მოაზრებულ ეკონომიკური ღირებულების მქონე ქონებაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ფულადი შესატანიც.⁴¹ მისი ეკონომიკური ღირებულება⁴² ხომ განსაკუთრებულ დადგენას არ მოითხოვს, მაგალითად, ექსპერტიზის დანიშვნასა და მის სათანადო დასკვნას. შედეგად, ლოგიკური კავშირი მათ შორის არსებობს, თუმცა, ეს თანხვედრა რამდენად არის განპირობებული მეორე საკორპორაციო-სამართლებრივი დირექტივის გავლენით, კონკრეტულ მტკიცებას მოკლებულია. ზოგადი ტენდენცია, რომელიც დასავლეთისკენ არის მიმართული ამის სუსტ, მაგრამ ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება იქნეს მიჩნეული. პირველი და მნიშვნელოვანი, რომელიც შეტანაუნარიანი ობიექტის განსაზღვრის პრინციპის გამოყენების საფუძველია, სწორედ ფულადი შენატანი მიიჩნევა მისი მაღალი ლიკვიდურობის გამო. აქედან გამომდინარე, ის მიეკუთვნება შეტანაუნარიანი ობიექტის პოზიტიურ სახეობას,⁴³ მაგრამ მხოლოდ ეს არ და ვერ გახდება კანონმდებლის ნების გამიჯნულად პოზიტიური შინაარსის დამკვიდრების მცდელობის განმარტების საფუძველი. ის როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური პრინციპის საფუძველზე საკანონმდებლო დონეზე დამკვიდრებული შეტანაუნარიანი ობიექტების კომპლექსური ანალიზის შედეგად უნდა დადგინდეს. ამასთან, ფულადი შენატანი შედის ქონებრივ სიკეთეში.⁴⁴ ვინაიდან ქონებრივი სიკეთე მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ ქონებას, ხოლო არამატერიალურ ქონებაში შედის ისეთი უფლებები, როგორიცაა საავტორო და საგამომცემლო უფლებები⁴⁵ ფულადი შენატანის ადგილი, თუ ამოვალთ მისი ეკონომიკური ღირებულების მქონე ობიექტებთან ურთიერთიმართებითი ანალიზიდან, ლოგიკურად, მატერიალური ქონების კატეგორიაში ექცევა.⁴⁶ აქედან გამომდინარე, არაფულადი შენატანით პოზიტიური თუ ნეგატიური გაგების შესახებ საკითხი ერთიანი სურათის შექმნის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

2.2. არაფულადი შენატანი, როგორც შენატანის ნეგატიური შინაარსის განსაზღვრის საფუძველი

როგორც წესი, კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში შენატანად განისაზღვრება ფულადი შენატანი.⁴⁷ ისევე როგორც ფულადი შენატანი, არაფულადი შენატანის სახეობა და ნილთა გადანაწილება პარტნიორთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, რომელიც აისახება საზოგადოების წესდებაში. საკორპორაციო სამართალში შენატანის ორ ძირითად სახედ – ფულად და არაფულად შენატანად დაყოფის საფუძველი მათი ეკონომიკური ღირებულებისა და მისი დადგენის მექანიზმიდან გამომდინარეობს. არსებული სხვაობა ნათელი ხდება არაფულადი შენატანის დახასიათებისას. მისი (არაფულადი) შენატანის ობიექტების განსაზღვრა ქართულ საკორპორაციო სამართალში ნეგატიური პრინციპის ახსნის საშუალებად გამოდგება.

არაფულადი შენატანის მარტივი ფორმულა მდგომარეობს „ყველა შეტანაუნარიანი ობიექტი, გარდა ფულადი შენატანისა“. მეორე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა შეტანაუნარიანი ობიექტად განსაზღვრავს ყველა ქონებას, რომლის ეკონომიკური ღირებულების დადგენაც შესაძლებელია. ის პირდაპირ არ მიუთითებს ფულად ან არაფულად შენატანზე, თუმცა, მეცხრე და მეთათ მუხლების პირველ და მეორე ნაწილში არაფულად შენატანს ფულადი შენატანის დაპირისპირებით მოიხსენიებს.⁴⁸ ამასთან, დირექტივა პირდაპირ გამორიცხავს საშუალოს შესრულებასა და მომსახურების განწევას, როგორც შეტანაუნარიანი ობიექტს სააქციო საზოგადოებისათვის.⁴⁹ 2008 წლის ცვლილებებამდე, ანალოგიურ მიდგომას ავითარებდა „მენარმეთა

შესახებ“ კანონიც, რომელიც პირდაპირ გამორიცხავდა მომსახურების განევასა და სამუშაოს შესრულებას საზოგადოების კაპიტალში შენატანად განსაზღვრისათვის. შედეგად, ქართულ სამართლებრივ სივრცეში შეტანაუნარიანი ობიექტის პოზიტიური პრინციპით განსაზღვრა იყო სახეზე. მის პოზიტიურ არსს განაპირობებდა მაღალი ლიკვიდურობა, ანუ ეროვნულ ვალუტაში ამა თუ იმ ქონების სწრაფი ტრანსფორმაცია. პოზიტიური პრინციპის ცვალებადობა განაპირობა არაფულადი შენატანის სახეობაში მომსახურების განევისა და სამუშაოს შესრულების შეტანამ.⁵⁰

2008 წლის 14 მარტის ცვლილებებამდე, პარტნიორთა მიერ დათქმული შენატანის შეტანის ვადები კონკრეტულად განსაზღვრული იყო და ფაქტობრივად ევროპის კავშირის მეორე კაპიტალის დირექტივას ჰგავდა. თუმცა, არ იყო დაკონკრეტებული ფულადი და არაფულადი შენატანისთვის ცალ-ცალკე ვადები, ანუ ერთნაირად იყო განსაზღვრული – დათქმული შენატანის ნახევარი რეგისტრაციის მომენტისათვის უნდა ყოფილიყო შეტანილი, რაც დირექტივის მსგავსი იყო. დირექტივა ითვალისწინებს დათქმული შენატანის შეტანას გასაცემი აქციების ნომინალური ღირებულების არანაკლებ 25%-ისა⁵¹ და აღნიშნული ეხება როგორც ფულად, ისე არაფულად შენატანს. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი, მოცემულია არაფულადი შენატანის შესრულების ვადების დაკონკრეტება. კერძოდ, დათქმული არაფულადი შენატანის შეტანა სრულად უნდა განხორციელდეს სააქციო საზოგადოების რეგისტრაციიდან ხუთი წლის განმავლობაში. «მენარმეთა შესახებ“ კანონის ამჟამინდელი რედაქცია მსგავს დათქმას აღარ ითვალისწინებს, რაც კიდევ ერთი ასპექტით აშორებს ევროპის კავშირის საბჭოს მიერ მიღებულ კაპიტალის დირექტივას. თვითრეგულირებადი წესების შემოღების, ანუ ფართო სანესდებო ავტონომიის ფარგლებში, პარტნიორებს უფლებამოსილება მიენიჭათ თავად განესაზღვრათ შესატანის შეტანის ოდენობასთან ერთად მისი შესრულების კონკრეტული ვადები.⁵² შედეგად, არაფულადი შენატანის სახეობასთან ერთად შესატანის შეტანის ვადებშიც მოხდა დირექტივისაგან გამიჯვნა.⁵³

განსხვავებით ევროპული სამართლებრივი რეგულირებისა,⁵⁴ აშშ-ის საკორპორაციო სამართალი, კერძოდ, ბიზნეს კორპორაციათა მოდელური კანონი პირდაპირ ითვალისწინებს ე.წ. ნეგატიურ პრინციპს. ამას განაპირობებს კორპორაციის დაფუძნებისას მატერიალურ და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეში მომსახურების განევისა და ისეთი ხელშეკრულების გადაცემის შესაძლებლობის დაშვება, რომელიც მომავალში მომსახურების შესრულებას ითვალისწინებს, ასევე სასესხო ბარათების შეტანა.⁵⁵ როგორც წესი, არაფულად შენატანში მოიაზრება მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. მოძრავი და უძრავი ნივთებიც სწორედ ამ კატეგორიაში ექცევა, ანუ ყველაფერი ის, რომელიც შეტანაუნარიან ობიექტებს მიეკუთვნება და რომლის ეკონომიკური ღირებულების დადგენაც შესაძლებელია. მათი შეტანის განხორციელებისათვის იგივე პროცედურებია ვაითვალისწინებული, რასაც ჩვეულებრივ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ბრუნვაუნარიანი ობიექტების გადაცემა მოითხოვს.⁵⁶ მაგრამ არაფულადი შენატანის საზოგადოებისათვის გადაცემამდე საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც არაფულადი შენატანის ეკონომიკური ღირებულების დადგენას ეხება. ფულადი შენატანის შემონემა პრობლემას არ წარმოადგენს. სირთულე ელინდება არაფულადი შენატანის შეტანის დროს აქციათა გასაცემ ფასთან შენატანის ღირებულების შესაბამისობის დადგენაში. მეორე დირექტივა არაფულადი შენატანის ღირებულების შესაბამისობის დადგენას დამოუკიდებელი ექსპერტის ინსტიტუტის შემოღებით წყვეტს. დირექტივის მიხედვით, ნებისმიერი არაფულადი შენატანის შეფასება უნდა მოხდეს საზოგადოების რეგისტრაციამდე ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რომელიც ეროვნულ იურისდიქციაში ერთნაოდ

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ იქნება დანიშნული. ასეთი ექსპერტები შესაძლებელია იყვნენ როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირები.⁵⁷ ამასთან, დირექტივა არაფულადი შენატანის საექსპერტო დასკვნის შინაარსს დეტალურად აღწერს.⁵⁸ მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს ქართული საკორპორაციო სამართალი. ის შეტანის ნესების განსაზღვრას მთლიანად პარტნიორთა შეთანხმებაზე დამოკიდებულს ხდის.⁵⁹ თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი შენატანის ეკონომიკურ ღირებულებას პარტნიორები დაადგენენ. პირიქით, ისინი შეთანხმებით აიღებენ ვალდებულებას⁶⁰ აუდიტორული კომპანიისა თუ აუდიტის მომსახურების მიღებაზე, რომელიც კომპეტენტურ დასკვნას მისცემს ამა თუ იმ ობიექტის ეკონომიკური (საბაზრო) ღირებულების შესახებ. ამ კუთხით პირდაპირი დათქმა არსებობს აშშ-ის მოდელურ კანონში. მოდელური კანონის მიხედვით, არაფულადი შენატანის დათქმის, მიღების ან მიღებამდე დირექტორს (დირექტორთა საბჭოს) ევალება განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება შენატანი მის სანაცვლოდ გასაცემ აქციათა ნომინალურ ღირებულებას.⁶¹ აღნიშნული დანაწესის დათქმა განპირობებულია აქციონერთა უფლებების დაცვისათვის, რომლის ხელყოფა შეიძლება გამოიწვიოს დირექტორთა საბჭოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.⁶² სწორედ ამიტომ მოდელურ კანონში პირდაპირ განისაზღვრა დირექტორთა საბჭოს მოქმედების კრიტერიუმები, რომლებსაც საბჭო უნდა აკმაყოფილებდეს არაფულადი შენატანის ადეკვატურობის⁶³ დადგენის პროცედურის დროს.⁶⁴ აშშ-ის მოდელური კანონისა და ევროპის კავშირის მეორე დირექტივისაგან განსხვავებით, „მენარმეთა შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს არაფულადი შენატანის შეტანის ნესებს და მისი ღირებულების დადგენის სამართლებრივ მეთოდებს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის უმრავლესი დათქმა პირდაპირ არის გადმოღებული, დირექტორთა კომპეტენციაში მსგავსი დანაწესი არ მოიძებნება. ანალოგიური ვითარებაა დირექტივასთან მიმართებაში. ამასთან, როგორც აშშ-ის მოდელური კანონის, ასევე, „მენარმეთა შესახებ“ კანონისაგან განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს დირექტივა არაფულადი შენატანის შეფასებისაგან გათავისუფლების კონტექსტში. სააქციო საზოგადოება შენატანის შემონგების ვალდებულებისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, ანუ ნევრმა სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ დირექტივის მეათე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, თუ ის აქციათა ნომინალური ღირებულის ან აქციათა გამოთვლილი ღირებულების 90%-ს მაინც ერთ ან რამდენიმე სანარმოზე გასცემს არაფულადი შენატანის სანაცვლოდ.⁶⁵ მოკლედ, არაფულადი შენატანის შეტანის ვადის, წესისა და ღირებულების⁶⁶ დადგენა კაპიტალური საზოგადოების დაცვის⁶⁷ მექანიზმთან ერთად, მისი კრედიტორების უზრუნველყოფის საშუალებადაც გამოდგება. თუმცა, არაფულადი შენატანის ნეგატიური პრინციპით განსაზღვრის საფუძვლად შეფასება და შეფასების კრიტერიუმები არ არის საკმარისი. ამოსავალი დებულება არაფულად შენატანების კატეგორიაში მომსახურების განევასა და სამუშაოს შესრულების შეტანაში მდგომარეობს. შესატანის ამ უკანასკნელ სახეობას დირექტივა, მიუხედავად მისი მკაცრი დამოკიდებულებისა არაფულადი შენატანების ეკონომიკური ღირებულების დადგენასთან მიმართებაში, მაინც უარყოფს. ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კაპიტალური საზოგადოების დაფუძნების სერიოზულობის გამოვლინებასთან ერთად კრედიტორთა დაცვის მექანიზმს და სამენარმეო ურთიერთობების გამართლებას. აღნიშნულის განხორციელების საუკეთესო საშუალება შეტანაუნარიანი ობიექტების კატალოგიდან მომსახურების განევისა და სამუშაოს შესრულების ამოღების ამოღებით გახდა შესაძლებელი, ანუ დირექტივამ, განსხვავებით ქართული და ამერიკული მიდგომისგან და მსგავსად გერმანიისა და სხვა ევროპული სახელმწიფოებისა, უარყო შენატანის განსაზღვრის ნეგატიური

პრინციპი, რომელიც სანაყის კაპიტალის ნაკლები ლიკვიდურობისაგან თავის არიდების საშუალებას წარმოადგენს და უზრუნველყოფს შენატანის საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში შედარებით გამარტივებულ ტრანსფორმაციას.

2.3. მომსახურების განევა და სამუშაოს შესრულება, როგორც არაფულადი სანივთო შენატანი?!

სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში კაპიტალის ფორმირების საშუალება სამენარმეო საქმიანობის დასაწყებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმედებაა. „მენარმეთა შესახებ“ კანონის დღევანდელი რედაქცია სანსდებო ავტონომიასთან ერთად შენატანის თითქმის ყველა სახეობას⁶⁸ ითვალისწინებს. შესატანი შესაძლებელია იყოს სანივთო, რომლის გადაცემის უფლებაც გადაცემს ექნება.⁶⁹ ასევე, შესაძლებელია, შენატანი იყოს ვალდებულებისამართლებრივი მოთხოვნის უფლება და სხვა შენატანები.⁷⁰ ვალდებულებისამართლებრივი მოთხოვნის უფლება, ნივთები,⁷¹ მოთხოვნები, სხვა უფლებები და ქონებრივი ფასეულობები შეტანაუნარიანი ობიექტების ქონებრივ სახეობას მიეკუთვნებიან, რომელიც თავის მხრივ, მატერიალურ და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ იყოფა. აღნიშნული ობიექტები შენატანის პოზიტიური გაგების დეფინიციის ერთგვაროვან კრიტერიუმს წარმოადგენს. მას ითვალისწინებს ევროპის საკორპორაციოსამართლებრივ სივრცეში არსებული მეორე საკორპორაციოსამართლებრივი დირექტივა. ზემოხსენებულს შესაბამებოდა 2008 წლამდე არსებული საქართველოს „მენარმეთა შესახებ“ კანონიც. ქართველი კანონმდებლის მიდგომის ცვლილებამ შესატანის ბუნების განსაზღვრის პრინციპის ცვალებადობაც გამოიწვია. ეს მიღწეულ იქნა შესატანის სახეობად მომსახურების განევისა და სამუშაოს შესრულების დამატებით. წარმოიშვა რამდენიმე კითხვა. პირველი და მნიშვნელოვანია, მომსახურების განევა და სამუშაოს შესრულება კონკრეტულად რომელ კატეგორიაში – მატერიალურ თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეში უნდა შევიდეს, თუ ის განცალკევებულ შენატანს წარმოადგენს, რომელიც მიუხედავად არაფულადი შენატანის კუთვნილებისა, არ მიეკუთვნება სანივთო შენატანს?! მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორ, ვინ და რა მეთოდით უნდა დაადგინოს, რამდენად შესაბამისობაშია სააქციო საზოგადოების გაცემული აქციების ნომინალური ღირებულება შესრულებული სამუშაოს ღირებულებასა თუ გაწეულ მომსახურებასთან?! ასევე, ბუნდოვანია საკითხი, მათი (მომსახურების განევისა და სამუშაოს შესრულების) ზუსტი ეკონომიკური ღირებულება უნდა დადგინდეს თუ მხოლოდ მათი ადეკვატურობა გასაცემი აქციების სანაცვლოდ.⁷²

აშშ-ის საკორპორაციო სამართალში ბიზნეს ორგანიზაციათა საქმიანობისათვის აუცილებელი კაპიტალის ფორმირების ნეგატიური პრინციპის თანახმად, შესატანად ყველა გადაცემაუნარიანი ობიექტია გათვალისწინებული, ასევე, სარგებელი, რომლის გადაცემაც შესაძლებელია.⁷³ რაც შეეხება მომსახურების განევას, აშშ-ის მოდელური აქტის თანახმად,⁷⁴ შესაძლებელია როგორც მომსახურების განევის, ასევე, მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულების წარმოდგენა შენატანის სახით. ეს უკანასკნელი მომავალში შესასრულებელ მომსახურებას ეხება, რომლის მიმღებიც საზოგადოება იქნება.⁷⁵ აღნიშნული მომსახურების არეალში ექცევა პრომოუტერის მომსახურებაც,⁷⁶ რომელიც წინასადაამუშებლო ეტაპზე დოკუმენტების მოწესრიგებითა და სარეგისტრაციო საბუთების მოწესრიგების მომსახურებაში მდგომარეობს.⁷⁷ განსხვავება კონტინენტურ ევროპასა და ამერიკულ საკორპორაციო სამართალში ამ კონტექსტშიც

ვლინდება, შესაბამისად, ქართულთან მიმართებაშიც, ევროპული საკორპორაციო სამართლისაგან განსხვავებით, დიფერენტული მიდგომაა. მაგალითად, გერმანული სამართლის მიხედვით, რომელიც დირექტივის გააღწენას განიცდის, მომსახურების განევა არ წარმოადგენს არაფულადი შენატანის ობიექტს, ხოლო მისი (მომსახურების) ღირებულება საზოგადოების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების შეგროვებისათვის საჭირო ხარჯებში მოიაზრება. როგორც წესი, ასეთ ვალდებულებას ერთ-ერთი პარტნიორი იღებს. მაგრამ განეული მომსახურება ითვლება კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნების ხარჯებად, რომელიც შემდგომ ანაზღაურებას ექვემდებარება.⁷⁸ განსხვავება ამერიკულსა და კონტინენტურ ევროპას შორის ნათელია.⁷⁹ მაგრამ რა განსაზღვრავს მომსახურების განევის სანივთო არაფულად შენატანთა კატეგორიაში მოქცევას? ის, რომ მომსახურების განევას (მომსახურების ხელშეკრულებას) ეკონომიკური ღირებულება შეიძლება ჰქონდეს, აქსიომაა. თუ ღირებულების განსაზღვრა შეიძლება ე.ი. მისი ქონებრივი ცნების ქვეშ მოქცევა შეიძლება, თუმცა, ის არ წარმოადგენს სანივთო შენატანს – ობიექტის მატერიალიზმს მისი ეკონომიკური ღირებულება არ განსაზღვრავს. შესაბამისად, ის უნდა მოექცეს არა სანივთო, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეში, როგორც მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე არაფულადი შენატანის განსაკუთრებული ობიექტი.⁸⁰ შედარებით ბუნდოვან, მაგრამ ანალოგიურ მიდგომას ანივთარებს „მენარმეთა შესახებ“ კანონი, რომელიც როგორც წესი, არ აკონკრეტებს ამა თუ იმ ნორმის შინაარსობრივ მხარეს, რაც პრინციპში, რეგულატორული უქმარისობის, და შესაბამისად, თეორიული ანალიზის განხორციელების სირთულის გამოშვევი მიზეზია.

რაც შეეხება მეორე დირექტივას, „მენარმეთა შესახებ“ კანონისგან განსხვავებით, პირდაპირ გამორიცხავს ნეგატიურ პრინციპს და სააქციო საზოგადოების სანესდებო კაპიტალში მომსახურების განევასა და სამუშაოს შესრულებას დაუშვებლად ცნობს.⁸¹ ეს გამართლებულია მათი ღირებულების დადგენის სირთულით, არაფულადი შენატანის ისედაც მკაცრი შეფასება-შემომწმების კრიტერიუმებისა და კრედიტორთა დაცვის შედეგისდაგვარად ადეკვატური მექანიზმის არსებობის: ნაკლები ლიკვიდურობის ხარისხის მქონე ობიექტი კრედიტორთა შედარებით ნაკლებ დამცავ საშუალებას წარმოადგენს, რომელსაც მინიმალური სანესდებო კაპიტალი უზრუნველყოფს. საბოლოოდ, მეორე დირექტივის მიდგომას სანესდებო კაპიტალის ფორმირებასთან მიმართებაში ნეგატიური პრინციპის უარყოფას კანონისმიერი მინიმალური სანესდებო კაპიტალის ინსტიტუტის არსებობა განაპირობებს. მინიმალური სანესდებო კაპიტალის ერთ-ერთი ფუნქცია ხომ კრედიტორთა დაცვაა? მოკლედ, ევროპის კავშირის საბჭოს მიერ მიღებული ზემოხსენებული დირექტივა ცალსახად ემიჯნება შენატანის განსაზღვრის ნეგატიურ პრინციპს, რაც ავტომატურად გამორიცხავს მომსახურების განევისა და სამუშაოს შესრულების დასაშვებობას სააქციო საზოგადოების სანესდებო კაპიტალში შენატანის სახეობად. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ მსგავსი შეზღუდვა სხვადასხვა სანარმოსათვის კონკრეტული სახის მომსახურებისა და სამუშაოს სარგებლიანობის გაუთვალისწინებლად, ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს არ შეესაბამება.⁸² თუმცა, რამდენად შეესაბამება ეს ორი დებულება ერთმანეთს (კრედიტორთა ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფა და შენატანის ნეგატიური გაგება) სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ეკონომიკური შედეგების ანალიზის შედეგად უნდა დადგინდეს. „მენარმეთა შესახებ“ კანონი ამ კუთხით დირექტივას მკვეთრად დაშორდა განიცადა რა, ამერიკული სამართლის გააღწენა ე.წ. self-regulation ნორმების შემოღების კუთხით.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არაფულადი შენატანის – სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების განევის ეკონომიკური ღირებულების დადგენის საშუალებაში მდგომარეობს. როდესაც

კანონმდებელს საკანონმდებლო სივრცეში შემოაქვს შენატანის ობიექტის განსაზღვრის ნეგატიური პრინციპი, მეტი სიცხადისათვის, აუცილებელია მისი ღირებულების დადგენის თაობაზეც კონკრეტული დათქმა გააკეთოს. „მენარმეთა შესახებ“ კანონში ასეთი დათქმა არ არსებობს, განსხვავებით აშშ-ის მოდელური კანონისაგან, სადაც კონკრეტულად დირექტორებს ევალებათ შესაბამისობის დადგენა. მნიშვნელოვანია, რომ აქ იგულისხმება შესაბამისობა და არა ღირებულება. კერძოდ, საბჭოს უფლებამოსილებაში შედის ფორმალური რეზოლუციით დაადგინოს ავტორიზებული აქციების ექსპლიციტური ადეკვატურობა სპეციფიკური ანაზღაურების მიმართ და არა არაფულადი შენატანის კონკრეტული ეკონომიკური ღირებულება.⁸³ მოკლედ, კორპორაცია დებულობს გარკვეული სახის შენატანს, რომლის ადეკვატური ნომინალური ღირებულების მქონე აქციების გაცემის ავტორიზება დირექტორთა საბჭოს ევალება.⁸⁴ მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ დათქმას „მენარმეთა შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს, ხელმძღვანელ პირთა უფლებამოსილების მიმნიჭებელი მუხლის⁸⁵ განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების საქმიანობის წარმართვა მოიცავს აქციათა განთავსების ვალდებულებასაც. ამ შემთხვევაში საკითხის გადასაჭრელად სამოსამართლო სამართალში არსებული პრაქტიკა უნდა გახდეს ამოსავალი დებულება, რაც ჯერჯერობით, ქართულ რეალობაში არ არსებობს. მეორე დირექტივის შედარებითი ანალიზი შედეგს მოკლებული იქნებოდა, რადგან დირექტივა საერთოდ უარყოფს მოსახურების განეევასა და სამუშაოს შესრულებას როგორც შესატანის სახეობას, შესაბამისად, არანაირ დათქმას არ აკეთებს მათი ღირებულების დადგენის მექანიზმების თაობაზე. გამოსავალი შეიძლება ანალოგიაში მდგომარეობდეს. კერძოდ, დირექტივის მეთაე მუხლში ჩამოყალიბებული წესები, რომელიც არაფულადი შენატანის ღირებულების დადგენის კრიტერიუმებსა და მეთოდებს ეხება, გამოყენებულ იქნეს შესატანის ზემოაღნიშნული სახეობის გასაცემი აქციების ღირებულებასთან შესაბამისობის დასადგენად. ანუ უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ საზოგადოების მიმართვის შემდეგ⁸⁶ ან დამოუკიდებელი ექსპერტის (აუდიტის) მოწვევის საშუალებით დაადგინოს ამა თუ იმ მომსახურების თუ სამუშაოს შესრულების ღირებულება, რომლის შესაბამისი ნომინალური ღირებულების აქციებსაც წილობრივი კუთვნილებიდან გამომდინარე, საზოგადოება გადასცემს აქციონერს. გადაცემის მომენტის განმსაზღვრელი სწორედ შენატანის ამ სახეობის ღირებულების დადგენა უნდა იქცეს, რადგან დაუშვებელია სამომავლოდ შესასრულებელი სამუშაოს თუ მომსახურების განევის სანაცვლოდ მათ შესრულებამდე საზოგადოების მიერ აქციათა გაცემა.⁸⁷

დაბოლოს, მესამე საკითხი, რომელიც დათქმული შენატანის ეკონომიკურ ღირებულებას ეხება, სააქციო საზოგადოების სანესდებო კაპიტალის არაფულადი შენატანით ფორმირების საკენადო საკითხია. „მენარმეთა შესახებ“ კანონი ამ შემთხვევაშიც ფართო სანესდებო ავტონომიას უთმობს გზას. ის პარტნიორთა შეთანხმებაზე დამოკიდებულს ხდის თუ რას და როგორ გადაწყვეტენ პარტნიორები – შეთანხმებიან არაფულადი შენატანის ზუსტი ეკონომიკური ღირებულების დადგენასა და მის მექანიზმზე, თუ მხოლოდ ასეთი შენატანის გაცემული აქციების ნომინალთან შესაბამისობას შეამონმებენ. როგორც ევროპის კავშირის საბჭოს მიერ მიღებული მეორე საკორპორაციოსამართლებრივი დირექტივა, ასევე აშშ-ის მოდელური კანონი პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ მეთოდს იყენებს. ის მდგომარეობს მომსახურების განევისა და სამუშაოს შესრულების არა ზუსტი ეკონომიკური ღირებულების დადგენაში, არამედ მისი გაცე-

მული აქციების ნომინლთან შესაბამისობის დადასტურებაში. მაგრამ ეს უკანასკნელი მრავალი კრიტიკის საგანი გახდა.⁸⁸

მოკლედ, საქართველოში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებებით⁸⁹ „მენარ-მეთა შესახებ“ კანონის ორსაფეხურიანი სისტემის ცვალებადობასთან ერთად, დუალისტური დამოკიდებულება აისახა კაპიტალური ტიპის საზოგადოების სანქსიონებზე კაპიტალის ფორმირების კუთხითაც. ერთი მხრივ, განისაზღვრა შეტანაუნარიან ობიექტთა კატეგორიაში მომსახურების განვეისა და სამუშაოს შესრულების დასაშვებობა, რომელმაც განაპირობა შენატანების განსაზღვრის ნეგატიური პრინციპის დამკვიდრება. ეს უკანასკნელი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში უკვე შეფასებულია დირექტივისაგან დაშორების კიდევ ერთ ნივთადამდგმულ ნაბიჯად.⁹⁰

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საკორპორაციოსამართლებრივ სფეროში განხორციელებული უმრავლი ცვლილება კანონის სამართლებრივ-ეკონომიკურ მიზნებს ბუნდოვანს ხდის. ის ამ მიზანს ორი მიმართულებით ცდება. პირველი, სამართლებრივი ლიბერალიზმისა და კერძო ავტონომიის საზღვრების გაფართოებისაკენ აღებულ ტენდენციას საკანონმდებლო ნორმების ორსაზროვანი, ხშირად ბუნდოვანი და უმრავლესად სიტყვაქუნნი ნორმატიული აქტები უპირისპირდება. მეორე, ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებასა და ევროპის კავშირისაკენ სწრაფვას, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი შეგნების ამაღლება და ევროპის კავშირის საკორპორაციო სამართლებრივ სივრცესთან დაახლოება უნდა დაედოს საფუძველად. უკანასკნელ საკითხს ქართველი კანონმდებელი აშშ-ის სამართლებრივი აქტების ტრანსფორმირებული ნორმების შემოღებას განსაზღვრავს ფუნდამენტად, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. ევროპისა და აშშ-ის სამართლებრივი გარემო მრავალეულემენტთან ურთიერთდაშორებას განიცდის. შედეგად, თუ ქართული საკორპორაციო სამართლის განვითარება იქნება მიჩნეული ევროპის კავშირთან ეკონომიკური სიახლოვის მისაღწევად, გამოირცხვლია მისი მიღწევა ევროპის კავშირის საკორპორაციო-სამართლებრივ სივრცეში არსებულ დირექტივებსა და დადგენილებებში განმტკიცებული დებულებების ქართულ საკორპორაციო სამართალში ტრანზფორმაციის გარეშე. საკითხი კონკრეტდება კაპიტალური ტიპის საზოგადოების სანქსიონებზე კაპიტალის ფორმირებისა და მომსახურებელ შეტანაუნარიან ობიექტთა კატეგორიაში მომსახურების განვეისა და სამუშაოს შესრულების დამატებამდე. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2008 წლის 14 მარტის ცვლილებები გახდა არა ევროპის კავშირის სამართლებრივ დებულებებთან დაახლოების, არამედ მისგან დაშორების საფუძველი. ამით კი, ფაქტობრივ გამოიწვევას დაედო საფუძველი, რომელიც შენატანის განსაზღვრის პოზიტიურ და ნეგატიურ გავებას შორის მდგომარეობს. შედეგად გამოიკვეთა საქართველოს საკორპორაციო სამართლის მიდგომა შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის საკითხთან მიმართებაში – ის ცალსახად ნეგატიური პრინციპის მიმდევარი და, შესაბამისად, ევროპის კავშირის მეორე საკორპორაციოსამართლებრივი დირექტივის საბაზისო დებულებისაგან გამიჯნული გახდა.

შენიშვნები:

- 1 იგულისხმება მეორე საკორპორაციო-სამართლებრივი დირექტივა: Second Council Directive 77/91/EEC of 13 December 1976 on coordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 58 of the Treaty, in respect of the formation of public limited liability companies and the maintenance and alteration of their capital, with a view to making such safeguards equivalent, Official Journal L 026 , 31/01/1977 P. 0001-0013
- 2 „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2008 წლის 14 მარტის ცვლილებები და დამატებები (№5913).
- 3 საქართველოს „მენარმეთა შესახებ“ კანონი, 1994 წელი საქართველოს პარლამენტის უწყებანი №21-22.
- 4 ე.წ. სელფ-რეგულაციონ რულეს.
- 5 მინიმალური კანონისმიერი სანესდებო კაპიტალი თავდაპირველად განსაზღვრული იყო 15 000 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ციფრი ცვალებადობას განიცდის სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. იხ: ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007, გვ. 102-103; Ferran, Principles of CORPORATE FINANCE LAW, Oxford University Press, New York, 2008, P. 89-90.
- 6 რომ არაფერი ვთქვათ დაფუძნების ორი უმთავრესი წინაპირობიდან ერთ-ერთის – კაპიტალის გაერთიანების შესახებ, რომელიც ბევრ ქვეყანაში სხის დაფუძნების საფუძვლებულ კრიტერიუმად მიიჩნევა. ბურდული, სანესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, ნიშნა: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, გვ. 210-216; შუადა: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ. 403.
- 7 მეორე დირექტივის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი.
- 8 ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, გვ. 21.
- 9 ზოგადად, ასეთი საზოგადოება ხომ კრედიტორების წინაშე მისი წევრებისგან დამოუკიდებლად ატებს პასუხს. იხ: ბურდული, სანესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თბილისი, 2009, გვ. 211.
- 10 ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, გვ. 21.
- 11 ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2007, გვ. 103-107.
- 12 Ferran, Principles of CORPORATE FINANCE LAW, New York, 2008, P. 94-97.
- 13 ბურდული, სანესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თბილისი, 2009, გვ. 212.
- 14 Hamilton, Robert, The Law of Corporations, 5th ed, 2000, P. 162-210.
- 15 ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, გვ. 22.
- 16 მეორე დირექტივის მე-7 მუხლი.
- 17 „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.
- 18 მეორე დირექტივის მე-7 მუხლის მეორე წინადადება.
- 19 „მენარმეთა შესახებ“ კანონის მესამე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადება.
- 20 „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტი.

- 21 იხ.: ბურდული, შენატანის განუზოცილებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-დან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, სამართლის ჟურნალი, №1-2, 2010, გვ. 19.
- 22 ქონების განმარტება მოცემულია საქართველოს „სამოქალაქო კოდექსის“ 147-ე მუხლში, რომელიც მატერიალურ ქონებას აიგივებს ნივთთან: „ქონება ...არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე...“, მენარმეთა შესახებ კანონი კი, შენატანს მატერიალურ და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ ყოფს. აქედან შესაძლებელია ითქვას, რომ ნივთი და მატერიალური ქონება გაიგივებულია ქართველი კანონმდებლის მიერ. იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მჟორე, გამომც. „სამართალი“, 1999, გვ.15-23.
- 23 ჭანტურია, ნინიძე, „მენარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, III გამოც., თბილისი, 2002, გვ.48.
- 24 მაგალითად, გერმანია.
- 25 შესაბამისად, აქციების მიღების წინაპირობას წარმოადგენს. იხ.: Hamilton, Robert. The Law of Corporations, 5th ed, 2000, P. 166-187.
- 26 იხ.: ბურდული, შენატანის განუზოცილებლობის სამართლებრივი შედეგი, სამართლის ჟურნალი, №1-2, 2010, გვ.22.
- 27 აღნიშნული საკითხი ქართულ კანონმდებლობაში დირექტივისგან განსხვავებულად რეგულირდება და მსგავსია აშშ-ს სამართლისა. მათ შორის სხვაობა-მსგავსების ერთ-ერთ საფუძვლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონისმიერი მინიმალური სავალდებულო სანესდებო კაპიტალის არსებობა-არარსებობა.
- 28 ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2007, გვ. 117.
- 29 შედეგად, წინამდებარე ნაშრომში შენატანი და შენატანი მათი შესატყვისი იურიდიული განმარტების ფარგლებშია მოაზრებული.
- 30 რისი თქმაც ვაძნელდება მეორე დირექტივისთან მიმართებით.
- 31 მეორე დირექტივის მე-7 მუხლის მეორე წინადადება.
- 32 განსაკუთრებით კანონისმიერ მინიმალურ სანესდებო კაპიტალს.
- 33 იხ.: კაკულია რევაზ, ბახტაძე ლელა, თუთბერიძე გოჩა, კორპორაციის ფინანსები, თბილისი, 2006, გვ.262-272.
- 34 მსგავსი მიდგომის გამო თქვა უარი ევროპულმა კანონმდებელმა მომსახურების განვსა და სამუშაოს შესრულების ნორმატიულ დასაშვებობაზე. იხ.: ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, გვ. 22.
- 35 ანუ იქ ავტომატურად გამოიყენება სააქციო ურთიერთობებში ბრუნვანარჩინი ობიექტები, რომელიც განკარგავს კანონმდებლობით არ არის შეზღუდული. იხ.: ჭანტურია, ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, გვ.48.
- 36 ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2007, გვ.125.
- 37 ფულადი შენატანის სანაცვლოდ მიღებული ნივთებისა და სახეების შესახებ, რომელიც შესაძლებელია იყოს რამდენიმე კატეგორიის, იხ.: Ferran, Principles of CORPORATE FINANCE LAW, New York, 2008, P. 102-103.
- 38 ჭანტურია, ნინიძე, „მენარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, III გამოც., თბილისი, 2002, გვ.46.
- 39 „მენარმეთა შესახებ“ კანონის მესამე მუხლის მესამე პუნქტის პირველი წინადადება 2008 წლამდე მდგომარეობით. იხ.: ჭანტურია, ნინიძე, „მენარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, III გამოც., თბილისი, 2002, გვ.38. თუმცა,

- სს-ში შენატანის სახეობად, უპირველესად, მოიაზრება ფულადი შენატანი, მოუხედავად მსგავსი საკანონმდებლო დათქმის არ არსებობისა, დღევანდელ „შენარმეთა შესახებ“ კანონის რედაქციაში. იხ: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, გვ.194.
- 40 მაგრამ, თუ მას სანივთო კატეგორიაში მოვაქცევთ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ვაგებით, მაშინ ის მატერიალურ ქონებრივ შენატანთა კატეგორიაში მოექცევა. მაგრამ მატერიალური ქონებრივი სიკეთის განმარტების თანახმად, მას წარმოადგენს ყველა ობიექტი, რომლის ეკონომიკური ღირებულების დადგენაც შესაძლებელია. ფული (ეკონომიკური ვაგებით) ობიექტის ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრის საშუალებას წარმოადგენს. ვამოდი, რომ ის არის არამატერიალური, თუმცა სუბსტანციური ქონებრივი სიკეთე (ისევე როგორც ფსიქიანი ქალაქი), რომელიც საბაზრო-სავაჭრო ურთიერთობებში ეკონომიკური ღირებულების მქონე ობიექტზე საკუთრების მოპოვების საშუალებას წარმოადგენს.
- 41 ამასთან, დირექტივის მეათე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ისეთ სახის შენატანებს, რომელიც არ მიეკუთვნება ფულად შენატანს. იხ: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, გვ.194.
- 42 „ფულის ეკონომიკური ღირებულება“ და მისი დადგენა მეორე, ალტერნატიული პოზიციის განვითარების საშუალებას იძლევა. კერძოდ, როგორც ფსიქიანი ქალაქი, ისე ამა თუ იმ ვალუტას კონკრეტული ყიდვა-გაყიდვის საბაზრო კურსი განესაზღვრება ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტასთან ურთიერთიმართების დადგენის საშუალებით. თუ თეხა ამ კუთხით განალიზდება, ეროვნული ვალუტის კურსის დადგენა ფულიდან გამომდინარე ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრის საშუალებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. აღნიშნული მიდგომის ზემოთ განვითარებულ თეხასთან დაპირისპირებით მიღებულ იქნება ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია, რომელიც ფულის ერთ კონკრეტულ ქონებრივი სიკეთის კატეგორიაში დასაბუთებული მიკუთვნების გამოიცხვის საფუძველია. აღნიშნულ თეხათა შეპირისპირება ნათელს ხდის იმ მიზეზს, რის გამოც ფულის ცალსახად და კონკრეტულად ერთ ცნებით კატეგორიაში მოქცევის ერთიანი კრიტერიუმი არ არსებობს. შეად: მე-40 სქოლიო.
- 43 ამასთან დაკავშირებით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ფულადი შესატანის პოზიტიური ვაგება შეტანაუნარიანი ობიექტების ერთ ცნებით კატეგორიაში გაერთიანებით აიხსნება. კერძოდ, თუ პოზიტიური ვაგებით გაანალიზდება ფულადი შესატანი, ზოგადად კი, შეტანაუნარიანი ობიექტები, მაშინ სახეზე იქნება ერთი ცნების – ქონებრივი შენატანების ქვეშ მოქცეული ობიექტები. შესაბამისად, ისინი სანივთო კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ, ანუ ფულადი შესატანიც სანივთო შენატანი გამოდის. იკვეთება წინააღმდეგობა – ფულადი შესატანი არ არის სანივთო კატეგორიაში არსებული შენატანის სახეობა. თუ ნეგატიურ ვაგებაში მოიაზრება ქონებრივი შენატანი, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური და ამას კვლავ დამატებული მომსახურების განევა და სამუშაოს შესრულება, გამოდის რომ პოზიტიური და ნეგატიური პრინციპის გამოყენას საფუძველად ფულადი შენატანის ერთ კონკრეტულ კატეგორიას მიკუთვნება წყვეტს. სტატიაში განვითარებული აზრის თანახმად კი, პოზიტიურ და ნეგატიურ ვაგებას შეტანაუნარიანი ობიექტების ლიკვიდურობის ხარისხობრივ მაჩვენებელს დამატებული მომსახურების განევა და სამუშაოს შესრულება განსაზღვრავს, რომელიც მეორე დირექტივაში განვითარებული პოზიტიური ვაგებიდანაც გამომდინარეობს აკონკრეტებს რა, ზოგადად, ეკონომიკური ღირებულების მქონე შეტანაუნარიანი ობიექ-

- ტებს, რომელთა ფაქტობრივი დაყოფა ეკონომიკური ღირებულების სამართლებრივ შეფასებაში მდგომარეობს. ეკონომიკური ღირებულების დადგენას კი, დამოუკიდებელი ექსპერტი უზრუნველყოფს. მოკლედ, ფულადი შენატანი და სანივთო შენატანი რომ სხვადასხვა განზომილებებშია, ეს ცალსახაა. თუმცა მხოლოდ განზომილებათა ცვალებადობა რომ არ ქმნის პოზიტიურ და ნეგატიურ გაგებას შორის ნათელ სურათს, ეს შეტანაუნარიანი ობიექტების ეკონომიკური ღირებულების ლიკვიდურობის მარკეტინგის მიხედვით განსაზღვრავს ვლინდება. შეად.: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, გვ. 193-194.
44. მსჯელობის საგანი, როგორც ზემოთ იქნა განხილული, მის მატერიალურ თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეთა კატეგორიას მიკუთვნებაში მდგომარეობს.
45. ჭანტურია, ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოც., თბილისი, 2002, გვ.51.
46. ქართული კანონმდებლობის პოსტამერიკული ტენდენციიდან გამომდინარე, მტი გავლენა აშშ-ს სამართლიდან შეიმჩნევა. აშშ-ს მოდელურ კანონის (Revised Model Business Corporation Act) 6.21 (ბ) პარაგრაფში პირდაპირ განმარტავს ფულად შენატანს ქონებრივი სიკეთის შემადგენელ ნაწილს. იხ.: Model business corporation act annotated: official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005, American Bar Association, USA, P.183; აქედან გამომდინარე, ფულადი შენატანი უნდა განმარტოს ქონებრივ შენატანად, რომელიც სანივთო შენატანების მიღმა დარჩება ვინორ გაგებით. შეად.: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, გვ.194.
47. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, გვ.194.
48. რაც მათ შორის გამიჯვნის საფუძვლად შეიძლება იქნეს მიჩნეული.
49. მეორე დირექტივის მეშვიდე მუხლი.
50. თუმცა ამ შემთხვევაში ერთიანი აზრი არ არსებობს თუ რამდენად შედის მომსახურების განევა და სამუშაოს შესრულება არაფულადი შენატანის მატერიალურ-ქონებრივ, ანუ სანივთო სახეობაში. ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ.
51. მეორე დირექტივის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.
52. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი.
53. შენატანის შეტანის ვადებისა და მისი განუხორციელებლობის შედეგების შესახებ, იხ.: ბურდული, შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივ შედეგი, სამართლის ჟურნალი, №1-2, 2010, გვ. 18-54.
54. ზოგად კონტექსტში ევროპული საკანონმდებლო სივრცის მოხსენიება განპირობებულია ევროპის კავშირში მოქმედი სამართლებრივი რეგულირების მოქმედების არეალით, რომელიც ნეკერი სახელმწიფოების მიერ დირექტივებსა და დადგენილებებში განერილი დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის შედეგია.
55. RMBCA, §6.21 (b) ix.: Alan R. Palmiter: Corporations: examples and explanations, 5th ed. 2006, P. 68-69.
56. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, გვ. 202. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოუხედავად მეორე დირექტივის მთელ ევროპაზე არსებული დიდი გავლენისა, დიდი ბრიტანეთის საკოორპორაციო სამართალში განსხვავებული მიდგომა ჩამოყალიბებული. კერძოდ, 2006 წლის კომპანიათა აქტის 582 მუხლი პირველი ნაწილი ითვალისწინებს საზოგადოების კაპიტალში აქციათა სანაცვლოდ ფულის და ფულადი ღირებულების მქონე გუდვილისა და ნოუ-ჰაუს შეტანას, რომელიც ფაქტობრივად

- დირექტივისგან განსხვავებული დებულებაა. თუმცა დირექტივისგან ამ «გადებევას ასწორებს» საგამონაკლისო შემთხვევის დათქმით, რომ თუ კომპანია საჯარო ხასიათს ატარებს და აქციებს იღებენ წესდებაზე ხელმოწერი პარტნიორები, მაშინ საზოგადოების წესდებაში დათქმული აქციები მხოლოდ ფულადი თანხის სანაცვლოდ უნდა იქნეს მიღებული. იხ.: Ferran, *Principles of CORPORATE FINANCE LAW*, New York, 2008, P.106.
- ⁵⁷ მეორე დირექტივის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი.
- ⁵⁸ მეორე დირექტივის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ ექსპერტთა დასკვნაში უნდა იქნეს მითითებული არაფულადი შენატანისათვის განსაზღვრული თითოეული ობიექტი და მათ შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები. იხ.: ჯულელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, გვ. 25.
- ⁵⁹ «შენარმეთა შესახებ» კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი.
- ⁶⁰ იგულისხმება ხელმძღვანელი პირის ვალდებულება.
- ⁶¹ RMBCA, §6.21 (c). ix.: Palmiter: *Corporations*, 5th ed. 2006, P. 69.
- ⁶² Model business corporation act annotated: official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005, American Bar Association, USA, P.187-188.
- ⁶³ ადეკვატურობაში იგულისხმება გაცემული აქციების ნომინალურ ღირებულებასთან არაფულადი შენატანის შესაბამისობა და არა მისი ზუსტი ეკონომიკური ღირებულება.
- ⁶⁴ RMBCA, §6.21 (c), §8.30, Model business corporation act annotated: official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005, American Bar Association, USA, P.187, 367-382.
- ⁶⁵ მეორე დირექტივის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი.
- ⁶⁶ ღირებულებაში იგულისხმება არაფულადი შენატანის არა ზუსტი ღირებულება, არამედ გაცემული აქციების ნომინალთან მისი შესაბამისობა. იხ.: ჯულელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, გვ. 27-28, სქოლიო 68, 70.
- ⁶⁷ იგულისხმება საზოგადოების აქციონერი.
- ⁶⁸ რომელიც შეტანაუნარიან, ბრუნვაუნარიან და გაცემაუნარიან ობიექტს მიეკუთვნება.
- ⁶⁹ აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც საზოგადოების საკუთრებაში კი არ ხდება ნივთის გადაცემა, არამედ დროებით სარგებლობაში. ამ დროს აუცილებელია, რომ გადამცემს ნივთის პირდაპირი ფლობის უფლება ჰქონდეს. იხ.: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ.211-212.
- ⁷⁰ ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ.205-208.
- ⁷¹ მოძრავი და უძრავი.
- ⁷² იხ.: 66 სქოლიო.
- ⁷³ RMBCA, §6.21 (b).
- ⁷⁴ აღსანიშნავია, რომ აშშ-ს მოდელურ კანონში უკანასკნელ ნაწილებში განხორციელებული მიდგომის შედეგად, სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით ნაწილობრივი ცვალებადობა განიცადა მოდელურმა კანონმა. კერძოდ, მასში პირდაპირ აღარ არის დაკონკრეტებული სამუშაოს შესრულება. იხ.: Hamilton, Robert, *The Law of Corporations*, 5th ed. 2000, P.178-182.
- ⁷⁵ Model business corporation act annotated: official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005, American Bar Association, USA, P.187.
- ⁷⁶ promoters' services.

- ⁷⁷ Model business corporation act annotated: official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005, American Bar Association, USA, P.187.
- ⁷⁸ ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ. 213.
- ⁷⁹ აღსანიშნავია, რომ გერმანულსაგან განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს დიდი ბრიტანეთის 2006 წლის კომპანიათა აქტი, რომლის 585-ე მუხლის თანახმადაც, მომსახურების განწევა და სამუშაოს შესრულება აკრძალულია ღია (საჯარო) კომპანიებში. Company Act 2006-ის 587-ე მუხლის მიხედვით კი, აკრძალულია მომავალში შესატანი შენატანის სანაცვლოდ ნომინალური ღირებულების მქონე აქციათა გაცემა ასეთი შენატანის სანაცვლოდ თუ მისი შეტანის ვადად ხუთ წელზე მეტია დათქმული. იხ.: Ferran, Principles of CORPORATE FINANCE LAW, New York, 2008, P. 107-108. ინგლისურ საკორპორაციო სამართალზე მეორე დირექტივის გავლენა ნათელია. Second Council Directive 77/91/EEC, Art.9.2.
- ⁸⁰ შეად.: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ. 212-214.
- ⁸¹ Second Council Directive 77/91/EEC, Art.7.
- ⁸² იხ.: ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, გვ.22.
- ⁸³ შეად.: Ferran, Principles of CORPORATE FINANCE LAW, New York, 2008, P.109-111.
- ⁸⁴ RMBCA, §6.21 (c). Model business corporation act annotated: official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005, American Bar Association, USA, P.188.
- ⁸⁵ „შენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 და 56-ე მუხლები.
- ⁸⁶ რა თქმა უნდა, მიმართვის უფლებამოსილება დირექტორის კომპეტენციაში შედის.
- ⁸⁷ ამის თაობაზე პირდაპირ მითითებას აკეთებს აშშ-ს მოდელური კანონი. იხ.: RMBCA, §6.21 (e); Model business corporation act annotated: official text with official comments and statutory cross-references, revised through 2005, American Bar Association, USA, P.189.
- ⁸⁸ Simplier Legislation for the Internal Market, რომელმაც გააკრიტიკა დირექტივაში არსებული არაფულადი შენატანის შემონმების წესები, მათ შორის, ეკონომიკური ღირებულების დადგენის შესახებ საკითხი. იხ.: ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, გვ. 27-28.
- ⁸⁹ არსებითად, 2008 წლის 14 მარტის ცვლილებებით.
- ⁹⁰ ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ. 212.

POSITIVE AND NEGATIVE CONTENTS OF DEFINING SHAREABLE OBJECT

GIORGI MAKHAROBLISHVILI

Assistant-Profesor at the Faculty of Law of Tbilisi State University

PHD student at the Faculty of Law of Tbilisi State University

*The Member of the Institute of Corporate, Bank and Economic Law
(TSU, Law Faculty)*

The Article presents comparative legal analysis of one of the fundamental issues of the Corporate Law - definition of shareable objects and implementation as an essential element of founding a company. The main goal of the study is to analyse in a systematic way two controversial contents (positive and negative) of the sharable object. The systematic-comparative analysis was considered as an adequate mean for achieving the goal. For this purpose Georgian legislative basis in corporate law was compared both with the reformed version of the US model law on Business corporations and with the second EU directive on Corporate law.

At the beginning of substantial analysis of sharable object formation of founding capital of a company was considered as the substantial side of this stage. Its logical development was reflected into means of formation. The last one is in connection with the core part of the article. In this part different kinds of shares are distinguished and classified, the substance of sharable objects is considered. And all this consideration is grounded not only on the comparative analysis, but also on the historical interpretation of a specific part of the Georgian law on Entrepreneurships" (which applies to the kinds of shares). On the basis of the study the specific criteria of positive and negative content of sharable objects is stipulated.

In the end the result of the study is presented as a conclusion which reveals problems related to the transplantation of the dimension of the EU Corporate Law into the Georgian Law on Entrepreneurship.